

ქობულეთის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომაზე

განხილულ საკითხთა ნუსხა

1. ქობულეთის მუნიციპალუტეტის ბიუჯეტით განხორციელებული ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების გენდერული ანალიზი და რეკომენდაციების შემუშავება მუნიციპალიტეტის მერიისათვის.

ქობულეთის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს
კომისიის სხდომის
ოქმი N3

ქ.ქობულეთი

12 ნოემბერი 2019 წელი

სხდომა დაიწყო: 14-00 საათზე

დამთავრდა: 15-20 საათზე

სხდომას უძღვებოდა: გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე ლია შაქარიშვილი;

სხდომას ესწრებოდა: ნარგიზ რომანაძე, ლელა ვერულიძე, დავით მჭედლიშვილი, დავით ვერულიძე, ქეთინო ქათამაძე, ნანა კალანდაძე, პაატა ცინარიძე, აზა ბოლქვაძე, ნინო ნოლაიდელი, ნარგიზ ჯინჭარაძე.

სხდომას არ ესწრებოდა: ნათია თხილაიშვილი, გურამ აბაშიძე, რომან მოწყობილი, გიორგი გოგიტიძე, ვიტალი ქარცივაძე, ნაილე ლაზიშვილი, გია მჟავანაძე, იოსებ ჟღენტი, დავით წულუკიძე, მამია ჟორდანიას, ავთანდილ ანანიძე.

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები:

აჭარის ნარჩენების მართვის კომპანიის დირექტორი-სოფიოა ნანიძე,

კომპანიის მენეჯერი -ნარეშ ტელგუმი.

მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი -ხვიჩა გამარჯობაძე.

სხდომას ესწრებოდა: ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის II სტრუქტურული ერთეულის III რანგის II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საქმის წარმოების საკითხებში მანონი ვერულიძეს.

სხდომის დაწყებამდე ქობულეთის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე ლია შაქარიშვილი მიესალმა სტუმრებს აჭარის ნარჩენების მართვის კომპანიის დირექტორს სოფიო ანანიძეს, კომპანიის მენეჯერს ნარეშ ტელგუმს და კომპანიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსს ხვიჩა გამარჯობაძეს. ლია შაქარიშვილმა აღნიშნა, რომ კომპანიის წარმომადგენელთა სტუმრობის მიზეზი გენდერული საბჭოს მიერ, კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის CENN, USAID-ის ფინანსური მხარდაჭერით, განხორციელებული კონკურსი „ეფექტური სლოგანი ნარჩენების მართვის თემაზე“ და მასში გამარჯვებული სლოგანი, რომლის ავტორი ნინო ნოლაიდელია, „ნარჩენი გადაარჩიე, ბუნება გადაარჩინე!“ გახლავთ. აჭარის ნარჩენების მართვის კომპანია მას უკვე თავისი სარეკლამო კამპანიის ფარგლებში იყენებს მაისურებზე, საინფორმაციო ფლაერებსა და ბუკლეტებზე. ასევე კომპანიის მიერ

ხორციელდება კამპანია ნარჩენების მართვის თემაზე საჯარო სკოლებში, სადაც გენდერული საბჭოს მიერ განხორციელებული კონკურსის მინი-ანალოგი ტარდება. ღია შაქარიშვილის თქმით თანამშრომლობა კომპანიასთან მხოლოდ იწყება და ამიერიდან უფრო მჭიდრო ხასიათს მიიღებს. კომპანიას შეუძლია კონკურსში მონაწილე სხვა სლოგანები, რომლებიც საპრიზო ადგილებზე ვერ მოხვდნენ, მაგრამ ასევე იმსახურებდნენ ყურადღებას, საავტორო უფლებების დაცვით, გამოყენებულ იქნას ნარჩენების მართვის კომპანიის სხვადასხვა კამპანიის ფარგლებში. ღია შაქარიშვილმა წარმატება უსურვა კომპანიას საქმიანობის განხორციელებაში და იქ, სადაც ქალისა და მამაკაცის ხელი თანასწორად არის ყოველთვის იქნება დიდი წარმატება, აღნიშნა დასასრულს.

კომპანიის დირექტორმა სოფიო ანანიძემ მადლობა გადაუხადა გენდერული საბჭოს თავმჯდომარე ღია შაქარიშვილს მოწვევისათვის, ასევე საბჭოს მიერ განხორციელებული კონკურსისათვის, რომელსაც კომპანია ეფექტურად იყენებს და დიდი მადლობა გადაუხადა მას ამ წვლილისათვის. სოფიო ანანიძემ ღია შაქარიშვილს მადლობის სიგელი გადასცა კომპანიის სახელით აღნიშნული კონკურსის პროექტის ავტორობისა და განხორციელებისთვის და თანამშრომლობის და მხარდაჭერის მზადყოფნა გამოთქვა.

ამის შემდგომ სიტყვა გადაეცა კომპანიის მენეჯერს ნარემ ტელგუმს, რომელმაც თქვა, რომ მათ ძალიან მოსწონთ ქობულეთის მუნიციპალური გენდერული საბჭოს კონკურსში გამარჯვებული სლოგანი და სწორედ ამიტომ იყენებენ მას თავიანთი კამპანიის ფარგლებში, მადლობა გადაიხადა მოწვევისათვის, მისი თქმით როგორც ცხოვრობს ევროპა ასევე უნდა იყოს საქართველოც.

ასევე სიტყვით გამოვიდა მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი ხვიჩა გამარჯობაძე, რომელმაც თქვა, რომ გარემო, სამშობლო ყველასთვის ერთია და თითოეული ადამიანის საზრუნავია, მიუხედავად მისი არაერთი საპროტესტო აქციისა, რომელსაც მართავდა კომპანიის საწინააღმდეგოდ, მისი ინტერესი მოიცავდა თუ რა კეთდებოდა და რამდენად უსაფრთხო იყო მშენებლობა ადგილობრივი მოსახლეობისათვის, თუმცა აჭარის მყარი ნარჩენების კომპანია ყოველდღიურად ჩართულია მოსახლეობასთან და ხსნის თუ რამდენად უსაფრთხოა და მისასალმებელია კომპანიის მხრიდან მსგავსი სტანდარტები ქალაქის განვითარების კუთხით.

ამის შემდგომ სიტყვით გამოვიდა საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილი, რომელმაც ხაზი გაუსვა, რომ დღევანდელი საკითხი მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისთვის და მომავლისთვის. ქალაქის პრესტიჟულობა გამოიხატება იმაში თუ რამდენად სუფთა და ეკოლოგიურად დაცული იქნება ჩვენი ქვეყანა დღეს და მომავალში. ის ბედნიერია იმით, რომ ჩვენს ქვეყანაში და რეგიონში უკვე გაჩნდა პრეცედენტი იმისა, რომ ჩვენს მუნიციპალიტეტში იქნება სწორედ, ნარჩენების ე.წ. სეპარირება და გადამუშავება. მადლობა გადაუხადა გენდერული საბჭოს თავმჯდომარეს სწორი

მენეჯმენტიტისა და დაგეგმისთვის, რომ დღეს გენდერული თანასწორობის საქმეში ქალების ჩართულობა მნიშვნელოვანია, ასევე აღნიშნა, რომ საქართველოში გენდერულ უთანასწორობას ვერ ხედავს. საკრებულო ახორციელებს დასუფთავების აქციებს ახალგაზრდულ საკრებულოსთან ერთად. ეს არის ძალიან კარგი მაგალითი იმისათვის, რომ რაც შეიძლება, ბევრი საზოგადოების მონაწილე გვყავდეს აქტიურად ჩართული, რომ სამომავლოდ ეს პრობლემა იყოს გადაჭრილი და გვექონდეს ყველაზე სუფთა მუნიციპალური ქალაქი. მადლობა გადაუხადა დღევანდელი ჩართულობისთვის და გამოთქვა რწმენა, რომ მომავალში უფრო გაძლიერდება თანამშრომლობა და მუნიციპალიტეტის მხრიდან.

ასევე სიტყვით გამოვიდა მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე დავით ვერულიძე, რომელმაც მადლობა გადაუხადა გენდერული საბჭოს თავმჯდომარე ლ.შაქარიშვილს, რომელიც მოდერატორია ამ ყველაფრის, დაწყებული არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობის უზრუნველყოფით, პროექტის ავტორობითა და კონკურსის განხორციელებით. ქალბატონი ნინო კი ღირსეული გამარჯვებულია და მადლობა გადაუხადა მას ასეთი აქტიურობისთვის. მოხარულია, რომ ასეთი კარგი გაგრძელება და თანამშრომლობითი ხასიათი მიიღო ამ საქმე და მზადყოფნა გამოთქვა ყველა კარგ საქმეში მონაწილეობისათვის.

სლოგანის ავტორმა ნინო ნოღაიდელმა მადლობა გადაუხადა ლ.შაქარიშვილს ამ კონკურსისა და მხარდაჭერისათვის. თქვა, რომ ბედნიერია კონკურსში მონაწილეობით, რადგან გამოავლინა თავისი შესაძლებლობები და მიეცა მის სლოგანს არსებობისა და ამ ფორმით სიცოცხლის გაგრძელების საშუალება.

გენდერული საბჭოს თავმჯდომარემ ლ.შაქარიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი:

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

1. ქობულეთის მუნიციპალუტეტის ბიუჯეტით განხორციელებული ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების გენდერული ანალიზი და რეკომენდაციების შემუშავება მუნიციპალიტეტის მერიისათვის - მომხსენებელმა ლ.შაქარიშვილმა საკითხის განხილვისაა თავსი განმარტა გენდერული ანალიზის ინსტრუმენტები.ახსენა რომ არსებობს გენდერული ანალიზის პრაქტიკული და სტრატეგიული ფორმები. პირველი მოკლევადიან მოთხოვნებს გულისხმობს, მეორე კი პერსპექტივაში ცვლის სქესთა თანასწორობის საკითხს პოზიტიურ ასპექტში. ღია საქარიშვილმა აღნიშნა, რომ

მუნიციპალური პროგრამების გენდერული ანალიზის პირველი მცდელობაა და ბუნებრივია, ის უნუვერსალური ვერ იქნება, რადგან ჯერ ამის მყარი პრაქტიკა არ არსებობს. დღევანდელ სხდომას უნდა დასწრებოდა მერიის სოციალური სამსახურის უფროსი ხათუნა მამასახლისი თუმცა მამის ავადმყოფობის მიზეზებით ვერ შეძლო მოსვლა, თუმცა კითხვების შემთხვევაში პასუხს მერის მოადგილე დ.ვერულიძე, რომელიც ასევე ჩვენი საბჭოს წევრია, უპასუხებს.

საბჭოს წევრებმა ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განხორციელებული ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების გენდერული ანალიზი მოახდინეს. საბჭოს წევრებმა იმსჯელეს მოქმედი პროგრამების შესაბამისობაზე მუნიციპალიტეტში მცხოვრები ქალებისა და მამაკაცების ინტერესებზე.

ღია შაქარიშვილის თქმით გენდერული ანალიზი არ არის მხოლოდ ქალის ინტერესი, ძირითადი მიზანი არის ის, რომ გენდერული ანალიზიდან გავითვალისწინოთ პრაქტიკული და სტრატეგიულ ასპექტები. პრაქტიკული ასპექტი არის მიმდინარე მომენტისთვის ქალისა და მამაკაცის აუცილებელი განსახორციელებელი საჭიროებები. სტრატეგიული კი უფრო გრძელვადიან პერსპექტივაში გენდერული პოლიტიკის განხორციელება. რეალურად გენდერული ანალიზი თუნდაც ამ შემთხვევაში პროგრამებისა, რომ იყოს, ობიექტური, საჭიროა წინსწრები კვლევა. მან გააცნო გენდერული საბჭოს წევრებს მუნიციპალიტეტში არსებული სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების ჩამონათვალი, სულ ცამეტი პროგრამის სახით. მთლიანი ბიუჯეტი წარმოადგენს 518 900 ლარს. რაც საკმაოდ მოცულობითია, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის კვალობაზე. დეტალურად განიხილეს ყველა პროგრამა.

ის დაინტერესდა სახელმწიფო პროგრამებმა მედიკამენტების ნაწილში ხომ არ ჩაანაცვლა მუნიციპალიტეტის მსგავსი პროგრამის რომელიმე კომპონენტი. რის საფუძველზე ხდება ქრონიკულად პროგრესირებადი მედიკამენტების მიღება და ბენეფიციართა რაოდენობის განსაზღვრა?

დ.ვერულიძის განმარტებით ის პროგრამები რომელიც მოიცავს სახელმწიფო პროგრამებმა, 2020 წელს აღარ იქნება, რა ნაწილიც არ მოიცავს ის პროგრამები დატოვებულია, ხოლო რასაც სახელმწიფო ახორციელებს იმ ნაწილში ეკონომიები დარჩა. ფორმა 100 საფუძველზე სოციალური სააგენტოს მიმართავს ბენეფიციარი. ქრონიკულად პროგრესირებად მედიკამენტებზე თავდაპირველად ხდებოდა მუნიციპალიტეტიდან გაცემა და აღრიცხვა, დანაკლისი ამ მიმართულებით ბიუჯეტის მხრივ არ ყოფილა. ყველა ვისაც ჭირდება ხდება მედიკამენტებით უზრუნველყოფა. წინა წლის ბენეფიციარები ცნობილია, შემდეგ წელს თუ ემატება შესაბამისად იზრდება თანხის ოდენობაც. ხდება მედიკამენტების შეძენა და შესაბამისად გაცემა. ბიუჯეტში საორენტაციო თანხის მითითება ხდება. საჭიროების შემთხვევაში ბიუჯეტის ცვლილებაზე ხდება კორექტირება.

ლელა ვერულიძემ დასვა შეკითხვა თუ რამ გამოიწვია ამ კუთხით ანალიზის გაკეთება გენდერულ ჭრილში ხომ არ დავინახეთ რაიმე ერთი ჩასაჭიდი ფაქტი, სადაც არ გახდა ხელმისაწვდომი გენდერულ ჭრილში ნებისმიერი მოქალაქისთვის შეზღუდვა?

ლია შაქარიშვილის განმარტებით სახელმწიფო პოლიტიკა უკვე ავალდებულებს მუნიციპალიტეტებს და ნებისმიერ სამთავრობო პროგრამების განმახორციელებელ სტრუქტურას, რომ პროგრამები ამ ასპექტში განხილული იყოს და გაკეთდეს შეფასება თუ რამდენად მორგებულია ორივე სქესის ინტერესებზე. ეს არის ვალდებულება და ჩვენ დღეს განვიხილავთ დეტალურად. მედიკამენტოზური პროგრამა ორივე სქესის ინტერესს პასუხობს და მასზე ხელი მიუწვდება ნებისმიერს ადამიანს საჭიროების შემთხვევაში.

დავით მჭედლიშვილის თქმით შეზღუდვა ამ კუთხით არ ყოფილა, რაც მისასაღმებელია.

ასევე მოსაზრებები დააფიქსირეს საბჭოს წევრებმა ყოველ მესამე და მომდევნო ახალშობილზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამის კუთხით - ლ.შაქარიშვილის თქმით ქალი და მამაკაცები არიან ასევე ის ახალშობილი ბავშვებიც, რომლებიც ღებულობენ ფინანსურ სარგებელს ამ კუთხით. ის დაინტერესდა ვის ეძლევა ერთჯერადი დახმარება და რა ფორმით ხდება გაცემა?

დავით ვერულიძის თქმით მუნიციპალიტეტი ახორციელებს დემოგრაფიული ფონის გაჯანსაღებისათვის სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში 0-დან 200 000 ლელის ჩათვლით დარეგისტრირებულ ოჯახებზე ერთჯერად მატერიალურ დახმარებას.

ქეთინო ქათამაძემ დასვა შეკითხვა პრაქტიკიდან გამომდინარე თუ დედა ჩაწერილია შუახვევის მუნიციპალიტეტში და მამა ქობულეთში და ქორწინების მოწმობა არ გააჩნდა ოჯახს ამ შემთხვევაში ვის შეუძლია თანხის აღება? ამ კონკრეტულ შემთხვევაში თანხის აღება მოხდა მხოლოდ მამის კუთხით.

ლია შაქარიშვილის მოსაზრებით მისასაღმებელია, რომ მუნიციპალიტეტი ამ ფორმით რომ უწევს ოჯახებს დახმარებას, მაგრამ კარგი იქნებოდა ეს თანხა მოხმარდეს მხოლოდ ახალშობილის საჭიროებებს. როცა აღნიშნული თანხა გაიცემა მამის ანგარიშზე ნაკლები გარანტიაა იმისა რომ მოხმარდეს თანხა ახალშობილს, ხომარ აჯობებდა შესაბამისი ვაუჩერი, რომელიც იქნებოდა კონკრეტული მიმართულებით და არა სხვა დანიშნულებისათვის გამოსაყენებლად.

დ.ვერულიძის თქმით წელს მოხდა აღნიშნული პროგრამით გაცემა იმ სოციალურად დაუცველ ოჯახებზე რომლებსაც სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში სარეიტინგო 0-დან 200 000 ლელა აქვთ, მუნიციპალიტეტის მოტივი იყო ის, რომ იხარჯებოდა არამიზნობრივად, რადგან იყო ოჯახები, რომლებისაც პრობლემა არ ქონდათ და არ უჭირდათ მატერიალურად, თუმცა მოდიოდნენ და დახმარებას ღებულობდნენ.

გენდერული საბჭოს წევრების ნაწილმა გამოთქვეს მოსაზრება, რომ საჭიროების მიხედვით მოხდეს თანხის გამოყენება თუ ვის რისთვისაც სჭირდება, რადგან ახალშობილს არ აკლებს არავინ არაფერს.

ქობულეთის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ ამ და სხვა პროგრამების განხილვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ქობულეთის მუნიციპალური გენდერული

თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე

ლ. შაქარიშვილი

ქობულეთის მუნიციპალური გენდერული

თანასწორობის საბჭოს მდივანი

რ. მოწყობილი